

აბულაძეთა საგვარეულო

აზნაურთა საგვარეულო XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში.

აბულაძეთა გვარის წარმოშობა XI საუკუნის დამდეგს და XII საუკუნის მიწურულს ბაგრატ III-ის (1008წ) და თამარის მეფობის ხანას (1184-1213წ) უკავშირდება და ისინი მთავრად და საქართველოს სამეფოს დიდ მოხელედ, პოლიტიკურ მოღვაწედ, ერისთავთერისთავად გვევლინებიან, ხოლო გუარნი მთავართა მათი ძუელთანი ჩამონათვალში მოიხსენებიან ერისთავთერისთავობით და გუარნი არ წარიწერებიან.

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (1089-1125წ) კლდეკარის მამასახლისად მოიხსენებიან, რომელთაც სხვებთან ერთად აღასრულეს მღვდელმთავრის გიორგი ჭლონდიდელის სიტყვა და თურქებს წაართვეს სამშვილდის ციხე.

კათოლიკოს სვიმონ ჩხეტიძის დროს ფერსათის მამასახლისი აბულაძე სულამა იყო (1664წ).

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ თავადთა და აზნაურთა წოდებაში დაამტკიცა და საოჯახო სახელობით სიაში შეიტანა გურული და იმერელი აბულაძეები.

აბულაძეებს აზნაურობა მოუდიოდათ: იმერეთში, გურიაში, ქართლში, ქსნის საერისთავოში. XVII –XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯრებში მამასახლისნი მეფეთა და კათოლიკოსთა იმერთა. დმერთისა და საქართველოსათვის, ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის აბულაძენი გამოდიოდნენ ქართველთა ღაშქარში: მუხრანბატონთა, დადიანთა, გურიელთა, წერეთელთა, ამილახვართა, ციციშვილთა, ბარათაშვილთა, აგრეთვე ალავერდელ, ბოდბელ და ნეკრესელ ეპისკოპოსთა დროშების ქვეშ. ქართლში, გაღმამხარის, თარხნიშვილთა მამულში.

შიდა ქართლში, დირბის მოსახელე აბულაძენი იმერეთიდან მოსულან, რომელთაც თარხნობა ჰბოძებიათ მეფეთაგან. იმერნი, ჩხარელნი, აბულაძენი გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის მსახურნი ყოფილან XVII საუკუნიდან.

აბულაძეთა გვარი ჯავახეთიდან იღებს სათავეს. ახალქალაქის რაიონში არის დიდი და პატარა აბულის მთა, რომლის ძირშიც არის სოფ. აბული. პარტიკამის საგამგებლო, მდინარე ფარავნის შენაკადი - აბულის სათავეში.

აბულა იყო მამაკაცის გავრცელებული საკუთარი სახელი, რომელსაც უკავშირდება აბულაძე გვარის წარმოშობა.

ტოპონიმი – სააბულაძეო უბანი დღემდე შემორჩენილია საჭანაოსა და საზარანდოს შუა (ძველი ხიბულა), დაიდაღის ნაპირას ერგეტის თემი. სოფ. ზედა ვაშლოვანში. ვაშლოვანის თემის საკრებულო (ხულოს რაიონი).

აბულაძეების შტოგვარებია აბულაძეშვილი და ობლიძე.

ობლიძეები ვახტანგ მეფის დროს 1711 წელს მეფის კარზე დაახლოებულნი იყვნენ და მოხსენებულნი არიან 1783 წლის ტრაქტატსა შინა, რომლებიც ქართლში აზნაურებად იწოდებოდნენ და იმერთა აზნაურ აბულაძეთა მოძმენი იყვნენ.

აბულაძეთა რიცხვმრავალი გვარი, ოდითგანვე კომპაქტურად დასახლებული ყოფილა: იმერეთში, ქართლში, აჭარაში, გურიაში, ჯავახეთში. (აბულაძეთა საგვარეულოს წარმოშობის და განვითარების ისტორიის კვლევა გრძელდება, რომელიც გამოიცემა წიგნად უახლოეს პერიოდში, ასევე მზადდება დოკუმენტური ვიდეო და ფოტო მასალები, რომელიც არქივისათვის უნიკალური შენაძენი იქნება).

ამჟამად აბულაძენი ცხოვრობენ: იმერეთში, აჭარაში, გურიაში, ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, სამეგრელოში.

განსაკუთრებით კომპაქტურად არიან დასახლებული საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში: თბილისი, თერჯოლა, ზესტაფონი, ბაღდათი, ადიგენი, კასპი, ოზურგეთი, წალენჯიხა, ზუგდიდი, ტყიბული, ქუთაისი, ბათუმი, ხულო,

ქედა, ქობულეთი, ხელვაჩაური, აგრეთვე ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში, თურქეთში, აშშ, გერმანიაში.

საქართველოში აბულაძეთა დიდ-პატარის, საერთო რიცხვი 2012 წლის არასრული მონაცემებით ათ იათას აჭარბებს.

2007 წლის 17 ივნისს ქ. ბათუმში დაარსდა სრულიად საქართველოს აბულაძეთა საგვარეულო კავშირი, რომელიც აერთიანებს საქართველოში მცხოვრებ ამ გვარის წარმომადგენლობას.

წმიდა ანდრია პირველწოდებულის რკინისჯვრის მაღლი ფარავდეს აბულაძეებს!
ღმერთმა ამრავლოს და ადიდოს გვარი აბულაძეთა!

ვახტანგ აბულაძე

სრულიად საქართველოს
აბულაძეთა საგვარეულო
კავშირის თავმჯდომარე

2012 წლის 12 მაისი.